ილიაუნის თეატრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

„სეზარი და დრანა“

პრემიერა

14.04.2015

სწრაფი გავრცელებისთვის

16 და 17 აპრილს, 20:00 საათზე, ილიაუნის თეატრში მიმდინარე თეატრალურ სეზონზე რიგით მესამე პრემიერა გაიმართება.

თანამედროვე კანადელი დრამატურგის იასმინა რეზას პიესაზე „სეზარი და დრანა“ რეჟისორმა რუსუდან კობიაშვილმა იმუშავა.

„სეზარი და დრანა“ მონოსპექტაკლია და ბოშა ქალზე, დრანაზე მოგვითხრობს, რომელიც თავის ბებერ ცხენ სეზართან ერთად გზას მიუყვება და მას, ერთადერთ ახლობელ სულიერს ესაუბრება. დრანა ღონემიხდილ ცხენს უყვება ომითა და სხვა ჭირ-ვარამით სავსე ცხოვრების შესახებ, იხსენებს სიყვარულს, შვილებს...

დრანას როლს სპექტაკლში ლილი ხურითი თამაშობს, შემოქმედებითი ჯგუფიც მხოლოდ ქალებისგან შედგება. პიესა ფრანგულიდან ქეთი კვანტალიანმა თარგმნა, ორიგინალური მუსიკა სპეციალურად სპექტაკლისთვის კომპოზიტორმა მაია გოქსაძემ შექმნა, სპექტაკლი დანიაში მოღვაწე მხატვარმა თამარ კობიაშვილმა გააფორმა.

დაიდგა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური ხელშეწყობით

პიესისა და ავტორის შესახებ:

იზაბელ დორეს პირველი პიესა „სეზარი და დრანა“ ერთაქტიანი პიესების საერთაშორისო კონკურსისათვის „ვალანსის სცენა“ 1992 წელს დაიწერა და მომდევნო წელს ვალანსის თეატრშივე დაიდგა. 1995 წელს მსახიობმა ჟული ვენსანმა შექმნა პიესის რადიოვერსია, რომელიც ტოკიოს რადიოგადაცემათა საერთაშორისო ფესტივალზე საუკეთესოდ დასახელდა. ამის შემდეგ პიესა ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, სლოვენიურ, ჩეხურ და სხვა ენებზე. ქართული თარგმანი, რომელიც ქეთი კვანტალიანს ეკუთვნის, შესულია გამომცემლობა „საარის“ მიერ 2005 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „თანამედროვე ფრანგული თეატრი“. აქვე უნდა ითქვას, რომ თეატრთან ურთიერთობა იზაბელ დორემ მსახიობობით დაიწყო, ცნობილი “ფლორანის სკოლის“ დამთავრებისთანავე ბეტი პირსის როლი განასახიერა გახმაურებულ სპექტაკლში „სეილემის კუდიანები“, თუმცა „სეზარი და დრანას“ წარმატების შემდეგ, მსახიობობას თავი დაანება და პიესების წერას მიჰყო ხელი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
მარადია ცაავა
599 301715; 2 29 47 15
theatre@iliauni.edu.ge

ილიაუნის თეატრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

იზაბელ დორე

სეზარი და დრანა

მონოსპექტაკლი 1 მოქმედებად

ფრანგულიდან თარგმნა ქეთევან კვანტალიანმა

რეჟისორი: **<u>რუსუდან კობიაშვილი</u>**
მხატვარი: თამარ კობიაშვილი
მუსიკა: მაია გოგსაძე
ტექნიკური რეჟისორი: მაკა მეტრეველი

მონაწილეობს:
ლილი ხურითი

უსასრულო გზა, ურიკა, რომელსაც ბებერი ცხენი სეზარი ნელ-ნელა მიაგორებს. ეს ურიკა პატარა ბოშა ქალის მთელ ავლადიდებას იტევს. დრანა განვლილი ცხოვრების შესახებ ისე ჰყვება, თითქოს თავის ცხენს უამბობსო... ომსა და დევნაზე მოყოლილი ჩვეულებრივი, ერთი შეხედვით არაფრით გამორჩეული ისტორია კი თითქოს მთელი ერის ტრაგედიის ანარეკლია.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
მარადია ცაავა
599 301715; 2 29 47 15
theatre@iliauni.edu.ge